

საზოგადოებრივი ტრანსპორტით
მგზავრობის საფასურის გადახდის
სისტემით სარგებლობის წესები

სარჩევი

I. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი.....	4
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....	4
მუხლი 3. სისტემის ზოგადი აღწერა.....	10
II. სისტემის საშუალებით გადახდის ოპერაციების განხორციელება.....	11
მუხლი 4. მომსახურება.....	11
მუხლი 5. სისტემაში დაშვებული საბარათე ინსტრუმენტები	12
მუხლი 6. გადახდის ოპერაციის შესრულება	13
მუხლი 7. გადახდის ოპერაციის შესრულებამ საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლის ემიტენტი არ არის ჩართული სისტემაში	14
მუხლი 8. გადახდის ოპერაციის შესრულება საბარათინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით	16
მუხლი 9. სისტემით სარგებლობა და სისტემით სარგებლობიდან გამომდინარე ვალდებულებები.....	17
მუხლი 10. სტოპ სიის წარმოება.....	18
მუხლი 11. მინიმალური ნაშთი.....	19
მუხლი 12. სავალდებულო თანხის ქონა.....	21
მუხლი 13. ანგარიშსწორება.....	21
III. სისტემაზე დაშვება.....	22
მუხლი 14. სისტემაში მონაწილეობის კრიტერიუმი.....	22
მუხლი 15. სისტემის მონაწილის მიერ განაცხადის წარდგენა და სისტემაში ჩართვა	23

IV. სისტემით სარგებლობის საფასური.....	24
მუხლი 16. სისტემით სარგებლობის საფასური.....	24
V. სისტემის მონაწილის პასუხისმგებლობა და სისტემით სარგებლობის სხვა პირობები	28
მუხლი 17. პასუხისმგებლობა	28
მუხლი 18. სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტა.....	29
მუხლი 19. კონფიდენციალურობა	32
მუხლი 20. კომუნიკაცია სისტემის მონაწილეს და სისტემის ოპერატორს შორის	33
მუხლი 21. სისტემის განახლება.....	34
მუხლი 22. სისტემის მონაწილის პრეტენზია.....	35

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს ის წესები და პირობები (შემდგომში - სისტემის წესები), რომელიც უნდა იქნეს დაცული იმ ფინანსური ინტიტუტების ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ, რომელთა მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის დადგენილი მგზავრობის საფასურის გადახდის ოპერაციები სისტემის საშუალებით, იმ მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, რომლის მიმართ შესაბამისი მომსახურების მიწოდებას ახორციელებს სისტემის ოპერატორი.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

სისტემის წესების მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

საბარათე ინსტრუმენტი

სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული და საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული უკონტაქტო საგადახდო პლასტიკური ბარათი.

ვადიანი სამგზავრო ბარათი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-81-ით დადგენილებით განსაზღვრული ვადიანი სამგზავრო ბარათი.

გადახდის სხვა საშუალება

NFC ფუნქციით, ასევე მსგავსი ფუნქციით აღჭურვილი მობილური ტელეფონი, საათები, სამაჯურები ან/და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია (მათ შორის ვირტუალური ბარათი/საფულე ან/და სხვა აპლიკაცია), რომელზეც მიბმულია საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც გადამხდელს საშუალებას აძლევს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადაიხადოს მგზავრობის საფასური და რომელიც არ არის საბარათე ინსტრუმენტი.

NFC

Near Field Communication - ელექტრონული მოწყობილობების მემვეობით ინფორმაციის გადაცემის უკაბელო სისტემა.

სისტემა

ტექნიკური მოწყობილობა ან/და წესების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება გადახდის ოპერაციის დამუშავება.

საერთაშორისო სისტემა

საგადახდო

VISA, MasterCard, American Express საგადახდო სისტემა.

სხვა საერთაშორისო სისტემა

საგადახდო

საერთაშორისოდ აღიარებული სხვა საგადახდო სისტემები, გარდა საერთაშორისო საგადახდო სისტემისა.

გადახდის ოპერაცია

გადამხდელის მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია მიმღების სასარგებლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის დადგენილი მგზავრობის

საფასურის გადახდის მიზნით, აგრეთვე სატარიფო ბადის შესაბამისად გადახდის ოპერაციის დადასტურება.

მიმღები

მუნიციპალიტეტი, რომლის მართვაში მყოფ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის დადგენილი მგზავრობის საფასურის გადახდის ოპერაციების დამუშავებას ახორციელებს სისტემის ოპერატორი სისტემის სამუალებით.

გადამხდელი

საბარათე ინსტრუმენტის მფლობელი პირი.

სისტემის მონაწილე

იურიდიული პირი, რომელიც სისტემის წესების შესაბამისად სისტემის ოპერატორის მიერ დაშვებულ იქნა სისტემაში და რომელიც სისტემაში ახორციელებს სისტემის წესებით მისთვის განსაზღვრულ ქმედებებს.

მუნიციპალიტეტი

კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ან/და აღმასრულებელი ორგანო, ან მათ მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებას და ამ მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემას ან/და მომსახურების პირობების დადგენას ან/და მომსახურების გაწევის მიზნით მესამე პირებთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას.

ხელშეკრულება

სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სისტემით სარგებლობის შესახებ, რომლის

განუყოფელი ნაწილია წინამდებარე სისტემის წესები.

სისტემის ოპერატორი

სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ 204378869).

ანგარიშსწორების აგენტი

იურიდიული პირი, რომელიც სისტემის მონაწილეებს უზრუნველყოფს ანგარიშსწორების ანგარიშებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება სისტემის მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება. სისტემაში ანგარიშსწორების აგენტი არის სისტემის ოპერატორი.

ანგარიშსწორების ანგარიში

სისტემის ოპერატორთან არსებული სისტემის მონაწილის ანგარიში, რომლის მეშვეობითაც ხდება სისტემის მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება.

ანგარიშსწორება

ანგარიშსწორების აგენტის მიერ გადახდის ოპერაციის შესაბამისი მგზავრობის საფასურის ოდენობის ფულადი სახსრების ჩამოჭრა სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშიდან და მათი ჩარიცხვა სისტემის ოპერატორის, როგორც სისტემის მონაწილის ანგარიშზე მიმღებისთვის ჩასარიცხად.

სატრანსპორტო ხელშეკრულება

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებისას მგზავრობის საფასურის გადახდის შესაძლებლობის შექმნის მიზნით სისტემის ოპერატორსა და შესაბამის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სისტემის მოწყობის შესახებ.

პრეტენდენტი

პირი, სისტემის პოტენციური მონაწილე, რომელმაც სისტემის ოპერატორს მიმართა განაცხადით სისტემით სარგებლობასთან დაკავშირებით.

სისტემით სარგებლობის საფასური

სისტემის მონაწილის მიერ სისტემის ოპერატორისთვის გადასახდელი სისტემით სარგებლობის საფასური.

მგზავრობის საფასური

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასური, მათ შორის ვადიანი სამგზავრო ბარათის საფასური.

მინიმალური ნაშთი

თანხის მოცულობა, რომელიც სავალდებულოა სისტემის წესებით გათვალისწინებული სრული პერიოდის განმავლობაში სისტემის მონაწილემ განათავსოს და მუდმივად იქონიოს ანგარიშსწორების ანგარიშზე.

BIN

Bank Identification Number - საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ემიტენტი პირისთვის მინიჭებული სპეციალური კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება საბარათე ინსტრუმენტის ემიტენტის იდენტიფიკაცია.

BINR

Bank Identification Number Range - BIN-ის საფუძველზე ემიტენტი სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტების ჯგუფისთვის მინიჭებული კოდების ერთობლიობა, რომლითაც შესაძლებელია ემიტენტი სისტემის მონაწილის მიერ

ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტის კონკრეტული ჯგუფის იდენტიფიკაცია.

PAN

Primary Account Number - საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საბარათე ინსტრუმენტის უნიკალური კოდი, რომელიც მათ შორის მოიცავს BIN-ს, BINR-ს და რომლის მეშვეობითაც ხდება კონკრეტული საბარათე ინსტრუმენტის იდენტიფიკაცია.

სტოპ სია

სისტემის მონაწილის მიერ შედგენილი/ფორმირებული საბარათე ინსტრუმენტების სია, რომელთა მეშვეობითაც დაუშვებელია გადახდის ოპერაციის შესრულება.

კანონმდებლობა

საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

პროტოკოლი

დოკუმენტი, რომელიც აღწერს სისტემის სარგებლობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ მოთხოვნებსა და პროცედურებს.

სატარიფო ბადე

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის მგზავრობის საფასური პირველი და განმეორებითი მგზავრობისთვის. სატარიფო ბადეში არ იგულისხმება/არ მოიაზრება საბარათე ინსტრუმენტის კონკრეტული მფლობელი სემენტისთვის ან/და პირთა წრისთვის დადგენილი შეღავათები.

პროგრამა

სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფა (სერვერი), რომლის საშუალებითაც სისტემის მონაწილეს აქვს წვდომა სისტემის საშუალებით განხორციელებულ გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ან/და რომლის საშუალებითაც სისტემის მონაწილე სისტემაში აწარმოებს სტოპ სიას.

საბანკო დღე

დღე (შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური უქმე დღეების გარდა), როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას.

მუხლი 3. სისტემის ზოგადი აღწერა

1. სისტემა წარმოადგენს სისტემის ოპერატორის მიერ შექმნილ ტექნიკური უზრუნველყოფისა და წესების ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის შესრულება ეროვნულ ვალუტაში.
2. სისტემის ოპერატორი არის სს საქართველოს ბანკი, რომელიც ამავდროულად ჩართულია სისტემაში როგორც სისტემის მონაწილე და არის სისტემის ანგარიშსწორების აგენტი.
3. სისტემის საშუალებით გადახდის ოპერაციების შესრულება შესაძლებელია იმ მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის საფასურის გადახდისთვის, რომლის მომსახურებას უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორი.
4. სისტემის ოპერატორი სისტემის საშუალებით უზრუნველყოფს შემდეგი მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას გადახდის ოპერაციების განხორციელებას:
 - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი;
 - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი;
 - ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;
 - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;

II. სისტემის საშუალებით გადახდის ოპერაციების განხორციელება

მუხლი 4. მომსახურება

1. სისტემის საშუალებით სისტემის მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის მომსახურება:

1.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში:

- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ M2 კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - მიკროავტობუსი;
- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ M3 კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - ავტობუსი;
- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო);
- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - საბაგირო გზა;
- გადახდის ოპერაციის განხორციელება ვადიანი სამგზავრო ბარათის შექმნის მიზნით და ვადიანი სამგზავრო ბარათის სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებულ საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირება და გადახდის ოპერაციის განხორციელება სტემის მონაწილის მიერ ემიტირებულ საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - (მიკროავტობუსი, საბაგირო გზა), M3 კატეგორია (ავტობუსი), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო);

1.2. ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფარგლებში:

- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ M3 კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - ავტობუსი;

1.3. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ფარგლებში:

- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ M3 კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - ავტობუსი;

1.4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ფარგლებში:

- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ M3 კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის საშუალებაში - ავტობუსი;

2. ანგარიშსწორების აგენტი უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის შესაბამისი თანხის ოდენობით სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშის დადებებებს და სისტემის ოპერატორის, როგორც სისტემის მონაწილის, ანგარიშის დაკრედიტებას.
3. სისტემის ოპერატორი, როგორც სისტემის მონაწილე, უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციის შესაბამის თანხის მიმღებთან ჩარიცხვას.

მუხლი 5. სისტემაში დაშვებული საბარათე ინსტრუმენტები

1. სისტემის მონაწილე უფლებამოსილია ისარგებლოს გადახდის ოპერაციით მის მიერ ემიტირებული იმ საბარათე ინსტრუმენტებით, რომლებიც ჩართულია VISA, MasterCard, American Express საერთაშორისო საგადახდო სისტემაში.
2. იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით გადახდის ოპერაციის შესრულება, სისტემის მონაწილემ დამატებით უნდა მიმართოს სისტემის ოპერატორს შესაბამისი მოთხოვნით სისტემის წესების დანართი №4-ით განსაზღვრული წესით. იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში დაიშვება სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტი, განახლდება სისტემის წესები.

3. იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს საბარათე ინსტრუმენტის გამოყენებით გადახდის სხვა საშუალებით განახორციელოს გადახდის ოპერაციები სისტემის მონაწილემ უნდა მიმართოს სისტემის ოპერატორს დანართი №4-ით დადგენილი წესით.
4. იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით განახორციელოს გადახდის ოპერაციები სისტემის მონაწილემ უნდა მიმართოს სისტემის ოპერატორს დანართი №4-ით დადგენილი წესით.

მუხლი 6. გადახდის ოპერაციის შესრულება

1. გადახდის ოპერაციის შესრულება ხორციელდება სისტემის მონაწილის ემიტირებული მხოლოდ იმ საბარათე ინსტრუმენტებით:
 - 1.1. რომლის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულებით დადგენილი წესით მიწოდებულ იქნა სისტემის ოპერატორისთვის;
 - 1.2. საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ (BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციის) ჩანაწერები/ინფორმაცია არ იქნება სტოპ სიაში.
 - 1.3. საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადა არ არის გასული.
2. სისტემა უარყოფს გადახდის ოპერაციის დავალებას, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. გადახდის ოპერაციის დავალების უარყოფის შემთხვევაში, სისტემის მონაწილეს გაეგზავნება შეტყობინება, ხოლო თავის მხრივ სისტემის მონაწილე პასუხისმგებელია გადახდის ოპერაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიმართ შეტყობინების გაგზავნაზე.
3. გადახდის ოპერაციის დავალება შესრულდება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები. გადახდის ოპერაციის შესრულების დროს საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრას/ნაშთის კონტროლს სრულად უზრუნველყოფს სისტემის მონაწილე.
4. გადახდის ოპერაცია სრულდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი სატარიფო ბადის შესაბამისად, ამასთან თუ სატარიფო ბადით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის მგზავრობის საფასური ნულოვანი ტარიფით სარგებლობა ერთმანეთით მიყოლებით მგზავრობისას პირველი მგზავრობიდან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განმეორებითი მგზავრობისთვის ან/და მგზავრობის საფასური ნულოვანი ტარიფით, გადახდის ოპერაცია ნიშნავს პირველი მგზავრობის დროს

განხორციელებული მგზავრობის საფასურის გადახდის დადასტურებას განმეორებითი მგზავრობისთვის ან/და საბარათე ინსტრუმენტით ნულოვანი ტარიფის დადასტურებას.

5. მუნიციპალიტეტის მიერ მგზავრობის საფასურისთვის დადგენილი შეღავათებით სისტემის მონაწილე სარგებლობს (სისტემის მონაწილეს ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით მგზავრობის საფასურის გადახდისას მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი მგზავრობის საფასურის შეღავათებით სარგებლობა) იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილესა და შესაბამის მუნიციპალიტეტს ან/და სისტემის მონაწილესა და მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილ პირს/ორგანოს შორის არსებული შეთანხმებით გათვალისწინებულია სისტემის მონაწილეს ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი მგზავრობის საფასურის შეღავათებით სარგებლობა. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მგზავრობის საფასურის შეღავათებით სარგებლობის შესახებ სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილე დამატებით თანხმდებიან ხელშეკრულებით.
6. ქ. თბილისის, ქ. ზუგდიდისა, ქ. ბათუმის და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილი მგზავრობის საფასურის შეღავათები ვრცელდება სს „საქართველოს ბანკის“ მიერ ემიტირებულ საბარათე ინსტრუმენტებზე შესაბამის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული სატრანსპორტო ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 7. გადახდის ოპერაციის შესრულება იმ საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლის ემიტენტი არ არის ჩართული სისტემაში

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციის დამუშავება განხორციელდება საერთაშორისო საგადახდო სისტემის ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად (თუ სისტემის ოპერატორი არის ასეთი სხვა საგადახდო სისტემის მონაწილე და გააჩნია გადახდის ოპერაციის დამუშავების მხარდაჭერის ობიექტური შესაძლებლობა) იმ შემთხვევაში თუ:
 - 1.1. საბარათე ინსტრუმენტის ემიტენტი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ იქნება ჩართული სისტემაში;

- 1.2. გადახდის ოპერაციის ინიცირება ხდება ისეთი საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისტემის წესებით;
- 1.3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ მიმართავს სისტემის ოპერატორს და არ მოითხოვს მის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციების შესრულების დაბლოკვას.
2. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციის დამუშავება განხორციელდება საერთაშორისო საგადახდო სისტემის ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად (თუ სისტემის ოპერატორი არის ასეთი სხვა საგადახდო სისტემის მონაწილე და გააჩნია გადახდის ოპერაციის დამუშავების მხარდაჭერის ობიექტური შესაძლებლობა) თუ:
 - 2.1. საბარათე ინსტრუმენტის ემიტირებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ;
 - 2.2. გადახდის ოპერაციის ინიცირება ხდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტით.
3. გადახდის ოპერაციის საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად დამუშავების შემთხვევაში მოქმედებს ურთიერთგაცვლის საკომისიო, რომლის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესებით.
4. გადახდის ოპერაციის საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად დამუშავებისას გადამხდელი იხდის დამატებით საკომისიოს 0.50 (ნოლი მთელი ორმოცდაათი მეასედი) ლარის ოდენობით.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია მიმართოს სისტემის ოპერატორს და მოითხოვოს მათ მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციის განხორციელების დაბლოკვა სისტემის მეშვეობით. სისტემის ოპერატორისთვის მიმართვის ფორმა და პროცედურა განისაზღვრება სისტემის წესების დანართი №3-ით.

მუხლი 8. გადახდის ოპერაციის შესრულება საბარათინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით

1. საბარათე ინსტრუმენტის დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციების შესრულება და შესაბამისი მომსახურების მიღება დასაშვებია, იმ შემთხვევაში თუ:
 - 1.1. სისტემის მონაწილე სარგებლობს ე. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციების განხორციელების მომსახურებით.
 - 1.2. სისტემის მონაწილე გადამხდელს ემსახურება დისტანციური არხის საშუალებით.
2. საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება თუ:
 - 2.1. საბარათე ინსტრუმენტი აკმაყოფილებს საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებით სისტემის წესებით დადგენილ მოთხოვნებს და სისტემის მონაწილე მიაწვდის სისტემის ოპერატორს სისტემის წესებით დადგენილ ინფორმაციას საბარათე ინსტრუმენტის შეასხებ.
 - 2.2. საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის სხვა საშუალებებით გადახდის ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, სისტემის მონაწილე უნდა სარგებლობდეს გადახდის სხვა საშუალებებით გადახდის ოპერაციის მომსახურებით.
 - 2.3. ვადიანი სამგზავრო ბარათის საბარათე ინსტრუმენტზე ან/და გადახდის სხვა საშუალებაზე დაკავშირებითვის სისტემის მონაწილემ სისტემის ოპერატორს უნდა მიაწოდოს შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის ან/და გადახდის სხვა საშუალების დასკრიპტული პანი/ტოკენი, სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის შეთანხმებული ალგორითმით.
3. ვადიანი სამგზავრო ბარათის საბარათე ინსტრუმენტზე ან/და გადახდის სხვა საშუალებაზე დაკავშირებითვის სისტემის მონაწილემ სისტემის ოპერატორს უნდა მიაწოდოს შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის ან/და გადახდის სხვა საშუალების დასკრიპტული პანი/ტოკენი, სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის შეთანხმებული ალგორითმით.
4. საბარათე ინსტრუმენტთან ვადიანი სამგზავრო ბარათის დაკავშირებისას, გადამხდელს შესაძლებლობა ექნება ვადიანი სამგზავრო ბარათით ისარგებლოს ან მხოლოდ საბარათე ინსტრუმენტით ან მხოლოდ გადახდის სხვა საშუალებით.

5. საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით სარგებლობისას, თუ საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადა ნაკლებია ვადიანი სამგზავრო ბარათის მოქმედების ვადაზე, საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის გასვლისთანავე გადამხდელი ვედარ ისარგებლებს ვადიანი სამგზავრო ბარათით თუ ვადიანი სამგზავრო ბარათი არ დაუკავშირდა მოქმედების ვადის მქონე საბარათე ინსტრუმენტს, რომელიც აკმაყოფილებს სისტემის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სისტემის მონაწილე ვალდებულია წინასწარ გაუგზავნოს შეტყობინება გადამხდელს ვადიანი სამგზავრო ბარათის/საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ.
6. გადახდის ოპერაციის შესრულება ვადიანი სამგზავრო ბარათის შეძენის მიზნით და ვადიანი სამგზავრო ბარათის დაკავშირება საბარათე ინსტრუმენტთან შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მონაწილის დისტანციური არხის მეშვეობით. ამასთან, მოქმედების ვადის მქონე ვადიანი სამგზავრო ბარათის კავშირი შესაძლებელია შეიცვალოს ერთ საბარათე ინსტრუმენტიდან სხვა საბარათე ინსტრუმენტზე, რომელიც აკმაყოფილებს სისტემის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
7. სისტემის მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს სრული ინფორმაცია გადამხდელს ვადიანი სამგზავრო ბარათის პირობებსა და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირების წესების შესახებ, რომელიც სრულად შესაბამისი უნდა იყოს სისტემის წესებით დადგენილ პირობებთან.
8. სისტემის მონაწილე ვალდებულია გადამხდელს არ დააკსიროს ნებისმიერი დამატებითი ტიპის საკომისიო/საფასური/მოთხოვნა/შეზღუდვა ვადიანი სამგზავრო ბარათის შეძენის მიზნით გადახდის ოპერაციის განხორციელებისას ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციების განხორციელებისას, გარდა მგზავრობის საფასურის მოცულობისა.

მუხლი 9. სისტემით სარგებლობა და სისტემით სარგებლობიდან გამომდინარე ვალდებულებები

1. სისტემის მონაწილე ვალდებულია სისტემაში გაწევრიანებამდე, ისევე როგორც სისტემით სარგებლობის ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს თავისი შიდა სისტემის სისტემასთან თავსებადობა, საჭიროებისამებრ განახლება და ნებისმიერი ხარვეზის/შეუსაბამობის გამოსწორება. სისტემის მონაწილე

ვალდებულია უზრუნველყოს სისტემის უსაფრთხოება და არ დაუშვას პროგრამასთან არაუფლებამოსილი პირი.

2. სისტემის მონაწილე ვალდებულია, სისტემით სარგებლობისას განახორციელოს შემდეგი ოპერაციები:
 - 2.1. აწარმოოს სტოპ სია;
 - 2.2. ჰქონდეს ანგარიშსწორების ანგარიშზე მინიმალური ნაშთი;
 - 2.3. სისტემის ოპერატორს მიაწოდოს საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია;
 - 2.4. ანგარიშსწორების ანგარიშზე ჰქონდეს ანგარიშსწორებისა და სისტემით სარგებლობის საფასურის ანაზღაურებისთვის აუცილებელი თანხა (შემდგომში - სავალდებულო თანხა).

მუხლი 10. სტოპ სიის წარმოება

1. სისტემის მონაწილე ვალდებულია პროგრამის მონაცემთა ბაზაში, მუდმივად მართოს სტოპ სია.
2. სტოპ სიის მართვა გულისხმობს სტოპ სიაში საბარათე ინსტრუმენტის PAN-ების შესახებ ინფორმაციის პროგრამის მონაცემთა ბაზაში დამახსოვრებას/შენახვას/განახლებას. სტოპ სიაში საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ინფორმაციის ჩაწერის შედეგად აღარ შესრულდება სისტემის საშუალებით გადახდის ოპერაცია იმ საბარათე ინსტრუმენტით, რომელიც სტოპ სიაშია მანამ, სანამ საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ინფორმაცია არ იქნება სტოპ სიიდან ამოღებული.
3. სისტემის მონაწილე ვალდებულია პროგრამის მონაცემთა ბაზაში საბარათე ინსტრუმენტის PAN-ების შესახებ ინფორმაცია შეინახოს არაუმეტეს სისტემის წესებით განსაზღვრული რაოდენობით.
4. სისტემის მონაწილე უფლებამოსილია ყოველდღიურად სტოპ სიას დაამატოს ან/და ამოიღოს საბარათე ინსტრუმენტის PAN-ების შესახებ ინფორმაცია არაუმეტეს სისტემის წესებით განსაზღვრული ოდენობით. სტოპ სიაში განთავსებული საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ჩანაწერების ნებადართული ჯამური და ყოველდღიური რაოდენობა დამოკიდებულია კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების ჯამურ მაჩვენებელზე და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:
5. იმ შემთხვევაში, თუ 1 (ერთი) კალენდარული თვის (სრული ან არასრული) განმავლობაში სისტემის საშუალებით განხორციელებული გადახდის

ოპერაციების ჯამური რაოდენობა მეტია ან ტოლია 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ერთეული გატარების, სისტემის მონაწილე უფლებამოსილია სტოპ სიაში იქონიოს ჯამურად 500,000 (ხუთასი ათასი) ერთეული საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ჩანაწერი, ხოლო 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში სტოპ სიაში დაამატოს ან/და ამოიღოს საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ჩანაწერი არაუმეტეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ერთეულის ოდენობით;

6. იმ შემთხვევაში, თუ 1 (ერთი) კალენდარული თვის (სრული ან არასრული) განმავლობაში სისტემის საშუალებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების ჯამური რაოდენობა ნაკლებია 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ერთეულ გატარებაზე, სისტემის მონაწილე უფლებამოსილია სტოპ სიაში ჯამურად იქონიოს 300,000 (სამასი ათასი) ერთეული საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ჩანაწერი, ხოლო 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში სტოპ სიაში დაამატოს ან/და ამოიღოს საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ჩანაწერი არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) ერთეულის ოდენობით;
7. სისტემის მონაწილე სრულად არის პასუხისმგებელი სტოპ სიაში ასახულ ინფორმაციაზე და სტოპ სიის შესაბამის წარმოებაზე.
8. საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციის სისტემის სტოპ სიაში ასახვა, როგორც წესი ხორციელდება შესაბამისი ინფორმაციის მითითებიდან ონლაინ რეჟიმში სისტემის მონაწილის მიერ დაფიქსირებული ინფორმაციის მითითებისთანავე, თუმცა არაუგვიანეს შესაბამისი ინფორმაციის მითითებიდან 5 (ხუთი) საათის განმავლობაში.
9. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე სარგებლობს სისტემით სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან მიმართებაში, სტოპ სიისთვის დადგენილი ლიმიტები გამოიანგარიშება ჯამურად ყველა მუნიციპალიტეტთან მიმართებაში განხორციელებულ ჩანაწერებზე დაყრდნობით.

მუხლი 11. მინიმალური ნაშთი

1. სისტემის მონაწილე ვალდებულია სისტემით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში და სისტემაში ჩართვის შეწყვეტიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში ანგარიშსწორების ანგარიშზე იქონიოს მინიმალური ნაშთი, რომლის ოდენობა დამოკიდებულია კალენდარული თვის განმავლობაში (სრული და არასრული) განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესაბამისი მგზავრობის საფასურის მოცულობაზე და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

#	კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული/მოსალოდნელი გადახდის ოპერაციების შესაბამისი მგზავრობის საფასურის მოცულობა (ლარი)	სავალდებულო მინიმალური ნაშთის მოცულობა (ლარი)
1	<300,000	30,000
2	>= 300,000 < 500,000	50,000
3	>= 500,000 < 1,500,000	150,000
4	>= 1,500,000 < 2,500,000	250,000

- იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილე სარგებლობს სისტემით სხვადასხვა სატრანსპორტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მინიმალური ნაშთის მოცულობა გამოიანგარიშება ჯამურად, ყველა სატრანსპორტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხებიდან.
- სისტემის მონაწილის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისას, პირველად განსათავსებელი მინიმალური ნაშთის მოცულობა განისაზღვრება განაცხადით მის მიერ მოსალოდნელი გადახდის ოპერაციების მოცულობაზე დაყრდნობით სისტემის წესებით განსაზღვრული პარამეტრების საფუძველზე, თუმცა არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარისა.
- სისტემის მონაწილე ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში ანგარიშსწორების ანგარიშზე განათავსოს განაცხადით შეთანხმებული მინიმალური ნაშთის მოცულობა, ამასთან სისტემის მონაწილე ვალდებულია სისტემით სარგებლობის ვადის განმავლობაში, ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში ანგარიშსწორების ანგარიშზე შეავსოს მინიმალური ნაშთის ოდენობა არანაკლებ დასრულებული კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების ჯამური მოცულობისთვის დადგენილ მინიმალური ნაშთის მოცულობამდე, იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილის მიერ ანგარიშსწორების ანგარიშზე განთავსებული მინიმალური ნაშთის მოცულობა ნაკლები იქნება იმ მინიმალური ნაშთის მოცულობაზე, რომელიც წინამდებარე წესების მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისი კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების მოცულობისთვის.
- იმ შემთხვევაში, თუ ზედიზედ 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში სისტემის მონაწილის მიერ განთავსებული მინიმალური ნაშთის მოცულობა მეტი იქნება შესაბამისი თითოეული კალენდარული თვის განმავლობაში

განხორციელებული გადახდის ოპერაციების ჯამური მოცულობის შესაბამისი მინიმალური ნაშთის სავალდებულო მოცულობაზე, სისტემის მონაწილე უფლებამოსილია სისტემის ოპერატორისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, გამოიყენოს ბოლო კალენდარული თვის ნამეტი თანხა სისტემის წესებით განსაზღვრული სისტემით სარგებლობის საფასურის გადახდის მიზნით, შესაბამის ანგარიშზე თანხის გადატანის გზით.

6. სისტემის მონაწილე ვალდებულია არ გამოიყენოს/არ ისარგებლოს მინიმალური ნაშთი(თ), ხოლო მინიმალური ნაშთიდან სისტემის წესებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების თანხის ან/და სისტემით სარგებლობის საფასურის ან/და პირგასამტეხლოს ჩამოჭრის შემთხვევაში, არაუგვიანეს 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში შეავსოს მინიმალური ნაშთის თანხა შესაბამის ოდენობამდე.

მუხლი 12. სავალდებულო თანხის ქონა

1. სისტემის მონაწილე ვალდებულია სისტემით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდითა და ოდენობით ანგარიშსწორების ანგარიშზე იქონიოს სავალდებულო თანხა.
2. სავალდებულო თანხის ოდენობა განისაზღვრება სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის ურთიერთშეთანხმებით კალენდარული დღის განმავლობაში (სრული და არასრული) განხორციელებული/მოსალოდნელი გადახდის ოპერაციის შესაბამისი მგზავრობის საფასურის მოცულობის, სისტემით სარგებლობის საფასურის ჯამური ოდენობის შესაბამისად.

მუხლი 13. ანგარიშსწორება

1. სისტემის მონაწილე სისტემაში მონაწილეობს როგორც კლირინგის პირდაპირი და ანგარიშსწორების პირდაპირი მონაწილე.
2. ანგარიშსწორების აგენტი უზრუნველყოფს ყოველი ერთი კალენდარული დღის განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესაბამისი რაოდენობის მგზავრობის საფასურის ჩამოჭრას ანგარიშსწორების ანგარიშიდან და სისტემის ოპერატორის, როგორც სისტემის მონაწილის ანგარიშზე ჩარიცხვას, შესაბამისი საანგარიშო კალენდარული დღის მეორე კალენდარულ დღეს.
3. სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს კალენდარული დღის განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების

- შესაბამისი რაოდენობის ჩამოჭრილი მგზავრობის საფასურის თანხის სისტემის ოპერატორის, როგორც სისტემის მონაწილის ანგარიშიდან მიმღებთან ჩარიცხვას.
4. სისტემის მონაწილე ვალდებულია ანგარიშსწორების ანგარიშზე იქონიოს სავალდებულო თანხა, ამასთან, ანგარიშსწორების ანგარიშზე შესაბამისი ოდენობის თანხის არ არსებობის ან ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, თანხები ჩამოიჭრება მინიმალური ნაშთიდან. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების ანგარიშზე არ აღმოჩნდება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ანგარიშსწორებისთვის საჭირო შესაბამისი თანხა ან ამ ანგარიშსწორების ანგარიშიდან შეუძლებელი იქნება შესაბამისი თანხის ჩამოჭრა, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს სისტემის წესებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა.
 5. ანგარიშსწორების მიზნებისთვის, განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ ინფორმაცია სისტემის მონაწილეს მიეწოდება შესაბამისი პროგრამის რეპორტ(ებ)ით.

III. სისტემაზე დაშვება

მუხლი 14. სისტემაში მონაწილეობის კრიტერიუმი

1. სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს:
 - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი;
 - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი
2. სისტემით სარგებლობისთვის პრეტენდენტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:
 - 2.1. ვალდებულია უზრუნველყოს თავისი შიდა სისტემების თავსებადობა სისტემასთან წინამდებარე წესებისა და პროტოკოლის შესაბამისად;
 - 2.2. ვალდებულია უზრუნველყოს თავისი შიდა სისტემასა და სისტემას შორის ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში გაცვლა;
 - 2.3. ვალდებულია მოქმედებდეს საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესების შესაბამისად და იცავდეს შესაბამის მოთხოვნებს;
 - 2.4. ვალდებულია მოქმედებდეს კანონმდებლობის შესაბამისად და იცავდეს მის მოთხოვნებს;

- 2.5. ვალდებულია სრულად დააკმაყოფილოს სისტემით სარგებლობასთან დაკავშირებული პროტოკოლით განსაზღვრული სისტემის ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც მას გადაეცემა სისტემის წესებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 15. სისტემის მონაწილის მიერ განაცხადის წარდგენა და სისტემაში ჩართვა

1. სისტემაში ჩართვის პროცედურა განისაზღვრება სისტემის წესების დანართი №2-ით.
2. პრეტენდენტმა განაცხადში უნდა მიუთითოს, თუ რომელ მუნიციპალიტეტ(ებ)ის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდისთვის სურს სისტემაში ჩართვა.
3. სისტემის ოპერატორსა და პრეტენდენტს შორის ხელშეკრულება ფორმდება და შესაბამისად პრეტენდენტი სისტემაში ერთვება იმ მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდისთვის რომელსაც პრეტენდენტი მიუთითებს განაცხადში.
4. კონკრეტული მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმება არ აძლევს სისტემის მონაწილეს უფლებას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის ოპერაციების შესასრულებლად, რომელიც არ იქნა მითითებული განაცხადში და რომელთან დაკავშირებითაც არ გაფორმებულა ხელშეკრულება.

IV. სისტემით სარგებლობის საფასური

მუხლი 16. სისტემით სარგებლობის საფასური

1. სისტემაში სარგებლობისას, სისტემით სარგებლობის საფასური განისაზღვრება სისტემით სარგებლობის ყოველთვიური საფასურისა ან/და საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით განხორციელებულ თითოეულ გადახდის ოპერაციასთან მიმართებაში დაწესებული სისტემით სარგებლობის საფასურის სახით, მიუხედავად გადახდის ოპერაციის საფუძველზე გადახდილი მგზავრობის საფასურის ოდენობისა.
2. სისტემით სარგებლობის საფასური მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდელებს/მოსაკრებლებს და გადასახადებს.
3. სისტემით სარგებლობის საფასური, თითოეულ მუნიციპალიტეტთან მიმართებაში განსხვავებულია და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:
 - 3.1. სისტემით სარგებლობის საფასური თბილისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით განისაზღვრება თითოეულ გადახდის ოპერაციასთან მიმართებაში და მისი ოდენობაა:

#	სისტემით სარგებლობის საფასური	სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობა (ლარი)
1	სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციისთვის	10 000
2	M2 კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის საშუალებით განხორციელებული ერთი (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის	0.02
3	M3 კატეგორიის (ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი - მეტრო და საბაგირო გზა) მგზავრთა გადაყვანის საშუალებით განხორციელებული ერთი (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის, თუ საანგარიშო პერიოდის წინა კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობა ნაკლებია 1,200,000.	0.02

4	M3 კატეგორიის (ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი - მეტრო და საბაგირო გზა) მგზავრთა გადაყვანის საშუალებით განხორციელებული ერთი (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის, თუ საანგარიშო პერიოდის წინა კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობა მეტია ან ტოლია 1,200,000.	0.015
---	--	-------

3.2. ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში სისტემით სარგებლობისას, მოქმედებს როგორც სისტემის სარგებლობის ყოველთვიური, ასევე თითოეულ გადახდის ოპერაციასთან მიმართებაში დაწესებული სისტემით სარგებლობის საფასური:

#	სისტემით სარგებლობის საფასური	სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობა (ლარი)
1	სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური	80 000
2	სისტემაში მომსახურების საფასური (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის	0.05

3.3. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში სისტემით სარგებლობისას, მოქმედებს როგორც სისტემის სარგებლობის ყოველთვიური, ასევე თითოეულ გადახდის ოპერაციასთან მიმართებაში დაწესებული სისტემით სარგებლობის საფასური:

#	სისტემით სარგებლობის საფასური	სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობა (ლარი)
1	სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური	100 000
2	სისტემით მომსახურების საფასური (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის	0.05

3.4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში სისტემით სარგებლობისას, მოქმედებს როგორც სისტემის სარგებლობის ყოველთვიური, ასევე თითოეულ გადახდის ოპერაციასთან მიმართებაში დაწესებული სისტემით სარგებლობის საფასური:

#	სისტემით სარგებლობის საფასური	სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობა (ლარი)
1	სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური	200 000
2	სისტემით მომსახურების საფასური (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის	0.05

- სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს კალენდარული დღის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესაბამისი რაოდენობის სისტემით სარგებლობის საფასურის ჩამოჭრას ანგარიშსწორების ანგარიშიდან სისტემით მომსახურების შესაბამისი კალენდარული დღის მომდევნო კალენდარული დღის ბოლომდე.
- სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემით სარგებლობის ყოველთვიური საფასურის ჩამოჭრას ანგარიშსწორების ანგარიშიდან სისტემით მომსახურების შესაბამისი თვის დასაწყისში, არასრული თვის შემთხვევაში სისტემით სარგებლობის ყოველთვიური საფასური გამოიანგარიშება შესაბამისი თვის განმავლობაში ნასარგებლები დღეების მიხედვით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილე სარგებლობს სისტემის საშუალებით საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით, სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციისთვის მოქმედებს და სისტემის მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს მანამ სანამ საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველა ვადიანი სამგზავრო ბარათის მოქმედების ვადა არ ამოიწურება, მიუხედავად იმისა შეწყვიტა თუ არა სისტემის მონაწილემ სისტემით სარგებლობა, მათ შორის სისტემით სარგებლობა საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათებით.

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში დაწესებული სისტემით სარგებლობის საფასურის დარიცხვა/ჩამოჭრა განხორციელდება შემდეგი წესის დაცვით - სისტემის სარგებლობის პირველი კალენდარული თვის განმავლობაში სისტემის სარგებლობის საფასური იქნება სისტემის წესებით განსაზღვრული სისტემით სარგებლობის საფასურის (შესაბამისი კატეგორიისთვის მზავრთა გადაყვანის საშუალებისთვის განსაზღვრული სისტემით სარგებლობის საფასური) ყველაზე მაღალი/დიდი მაჩვენებელი, მიუხედავად სისტემის საშუალებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობისა, ხოლო ყოველი მომდევნო თვის სისტემით მომსახურების საფასური განისაზღვრება წინა კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობის საფუძველზე.

V. სისტემის მონაწილის პასუხისმგებლობა და სისტემით სარგებლობის სხვა პირობები

მუხლი 17. პასუხისმგებლობა

1. იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილის მიერ სტოპ სიაში არსებული საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ჩანაწერების რაოდენობა აღემატება სისტემის წესებით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობას, მაშინ სისტემის მონაწილე ვალდებულია აუნაზღაუროს სისტემის ოპერატორს ხარჯი შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის სისტემის წესებით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობაზე მეტი ოდენობის თითოეულ ჩანაწერზე 0,01 (ნული მთელი ერთი მეასედი) ლარის ოდენობით დღეში (სრული ან არასრული დღისთვის).
2. იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილის მიერ 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში სტოპ სიაში დამატებული ან/და ამოღებული საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ჩანაწერების რაოდენობა აღემატება სისტემის წესებით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობას, მაშინ სისტემის მონაწილე კისრულობს ვალდებულებას, აუნაზღაუროს სისტემის ოპერატორს ხარჯი შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტების სისტემის წესებით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობაზე მეტი ოდენობის თითოეულ ჩანაწერზე 0,01 (ნული მთელი ერთი მეასედი) ლარის ოდენობით.
3. იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური ნაშთისთვის განსაზღვრულ ანგარიშზე არ აღმოჩნდება შესაბამისი კალენდარული დღის განმავლობაში მგზავრობის საფასურის და სისტემაში ჩართვის საფასურის ოდენობის ჯამური თანხა, ასევე, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი თანხა ან აღნიშნული ანგარიშიდან შეუძლებელია შესაბამისი თანხების ჩამოჭრა, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს ერთჯერადი პირგასამტეხლოს გადახდა, მინიმალური ნაშთიდან ჩამოსაჭრელი შესაბამისი თანხის 1 (ერთი) %-ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა, შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული), შესაბამისი გადაუხდელი/მინიმალური ნაშთიდან ჩამოსაჭრელი თანხის ჯამური მოცულობის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით.

4. სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს მის მიერ სისტემის წესებით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, ნებისმიერი მესამე პირის მიერ დაკისრებული გადასახდელი. ამასთან, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს მის მიერ სისტემის წესებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის, გარდა სისტემის წესების ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ერთჯერადი პირგასამტეხლოს გადახდა, მინიმალური ნაშთის მოცულობის 1 (ერთი) %-ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა, შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული), მინიმალური ნაშთის მოცულობის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით.
5. სისტემის ოპერატორი პასუხს არ აგებს მისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მიზეზით სისტემის ფუნქციონირების სრულად ან ნაწილობრივი შეწყვეტისთვის.
6. სისტემა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური აქტივები (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრება), ეკუთვნის სისტემის ოპერატორს, წარმოადგენს მის საკუთრებას, ტექნიკურ მომსახურებას. საკუთრების უფლება, არც ერთ შემთხვევაში, არ გადაეცემა სისტემის მონაწილეს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია გაუფრთხილდეს და დაიცვას, ისევე როგორც მოსთხოვოს ნებისმიერ მესამე პირს სისტემის ოპერატორის საკუთრების უფლების (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, ინტელექტუალური საკუთრების) მოფრთხილება და საკუთრების დაცვა.
7. საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციების განხორციელებისას სისტემის მონაწილე სრულად პასუხისმგებელია გადამხდელის წინაშე სისტემის მონაწილის დისტანციური არხის ხარვეზთან ან/და სისტემის მონაწილის მიერ გადამხდელისთვის მისაწოდებელ ინფორმაციასთან ან/და გადამხდელის ნებისმიერ და ყველა პრეტენზიაზე.

მუხლი 18. სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტა

1. სისტემის მონაწილე უფლებამოსილია ცალმხრივად, სისტემით სარგებლობის და ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, შეწყვიტოს სისტემით სარგებლობა, სისტემის ოპერატორთან გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
2. სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, სისტემით სარგებლობის და ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ცალმხრივად, გააუქმოს სისტემის მონაწილეს (ნაწილობრივ ან სრულად) სისტემით სარგებლობის უფლება და შეუწყვიტოს ხელშეკრულება, შემდეგ შემთხვევებში:
 - 2.1. სისტემის მონაწილე სრულად და ჯეროვნად არ ასრულებს სისტემის წესებით ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
 - 2.2. სისტემის მონაწილე არ აკმაყოფილებს სისტემით წესებით დადგენილ ნებისმიერ მოთხოვნას;
 - 2.3. შეწყდება სისტემის ოპერატორსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული სატრანსპორტო ხელშეკრულება. სატრანსპორტო ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძვლებია:
 - 2.3.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან ან/და მის უფლებამოსილ პირ(ებ)თან გაფორმებული სატრანსპორტო ხელშეკრულების ვადის გასვლა რომელიც განისაზღვრება 2028 წლის 15 სექტემბერით (თუ ეს ვადა არ გახანგრძლივდა მხარეთა შეთანხმებით);
 - 2.3.2. ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული სატრანსპორტო ხელშეკრულების ვადის გასვლა რომელიც განისაზღვრება 2024 წლის 7 აგვისტომდე პერიოდით (თუ ეს ვადა არ გახანგრძლივდა მხარეთა შეთანხმებით);
 - 2.3.3. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში სატრანსპორტო ხელშეკრულების ვადის გასვლა რომელიც განისაზღვრება 2025 წლის 31 დეკემბერით (თუ ეს ვადა არ გახანგრძლივდა მხარეთა შეთანხმებით);
 - 2.3.4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში სატრანსპორტო ხელშეკრულების ვადის გასვლა რომელიც განისაზღვრება 2026 წლის 10 ივლისი (თუ ეს ვადა არ გახანგრძლივდა მხარეთა შეთანხმებით);
 - 2.3.5. სატრანსპორტო ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ სატრანსპორტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, რის საფუძველზეც სატრანსპორტო ხელშეკრულების მეორე მხარე იღებს გადაწყვეტილებას სატრანსპორტო ხელშეკრულების შეწყვეტაზე;

- 2.3.6. სატრანსპორტო ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიმართ გაკოტრების საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი (თუ ამ მხარეს არ რჩება შესაბამისი უფლებამონაცვლე);
- 2.3.7. სისტემის ოპერატორსა და მუნიციპალიტეტს შორის წერილობითი შეთანხმება;
- 2.3.8. სისტემის ოპერატორის უფლებამოსილების შეწყვეტა, უზრუნველყოს გადახდის ოპერაციების შესრულება შესაბამისი მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ;
- 2.3.9. ბათილად იქნა ცნობილი სატრანსპორტო ხელშეკრულება;
- 2.3.10. სატრანსპორტო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს, წინასწარი ვადის დაცვით გაგზავნილი შეტყობინებით (ასეთი პირობის არსებობისას);
- 2.3.11. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
- 2.4. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე ან/და მასთან აფილირებული პირი მოხვდება ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სანქცირებულ პირთა სიაში ან/და სისტემის მონაწილეს ან/და მასთან აფილირებული პირს შეეზღუდება ოპერაციების განხორციელება;
- 2.5. სისტემის მონაწილე ფუნქციონირებას აგრძელებს ადმინისტრაციის რეჟიმში ან მის მიმართ დაიწყება ლიკვიდაციის პროცესი;
- 2.6. თუ სისტემის მონაწილე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში არ შეავსებს მინიმალურ ნაშთს ან შესაბამის ანგარიშს საჭირო თანხის ოდენობით;
- 2.7. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 3. ხელშეკრულება, ასევე, შეიძლება შეწყდეს სისტემის ოპერატორისა და სისტემის მონაწილის ერთობლივი შეთანხმებით.
- 4. სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია სისტემის მონაწილეს დაუწესოს ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელმაც გამოიწვია სისტემის მონაწილის მიმართ სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტის უფლების წარმოშობა.
- 5. სისტემის ოპერატორი სისტემის მონაწილის მონაწილეობის შეწყვეტას ახორციელებს სისტემის მონაწილისათვის ყოველგვარი ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სისტემის მონაწილისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
- 6. ნებისმიერი მიზეზით სისტემის მონაწილის სიტემაში მონაწილეობის შეწყვეტის შემთხვევაში, წყდება შესაბამისი ხელშეკრულებაც.

7. ნებისმიერი მიზეზით სისტემის მონაწილის სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტის შემთხვევაში, სისტემის მონაწილე არ თავისუფლდება სისტემის წესებიდან ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სისტემის ოპერატორის მიმართ ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულებისგან ან/და ზიანის/ზარალის ანაზღაურებისგან, რომელიც მიადგა სისტემის ოპერატორს სისტემის მონაწილის სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტის შედეგად.
8. სისტემით სარგებლობის უფლების გაუქმების და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სისტემის მონაწილეს უუქმდება სისტემის სარგებლობის უფლება და უწყდება ხელშეკრულება ყველა სატრანსპორტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, ერთი სატრანსპორტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სისტემით სარგებლობის უფლების გაუქმება, ავტომატურად იწვევს სხვა სატრანსპორტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სისტემით სარგებლობის უფლების გაუქმებას და შესაბამის ხელშეკრულების შეწყვეტას, გარდა შესაბამის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული სატრანსპორტო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით სისტემით სარგებლობის უფლების გაუქმებისა და იმ შემთხვევაში თუ მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით მოხდა სისტემით სარგებლობის უფლების და ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 19. კონფიდენციალურობა

1. სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილე ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან სისტემით სარგებლობიდან გამომდინარე მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილე კისრულობენ ვალდებულებას, მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი დაამუშაონ, მხოლოდ სატრანსპორტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.
2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო/გახდა ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის, მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
 - 2.1. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

- 2.2. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
- 2.3. თუ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება მოხდება: ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი მხარე სრულად აგებს პასუხს მესამე პირის მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე მხარისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20. კომუნიკაცია სისტემის მონაწილეს და სისტემის ოპერატორს შორის

1. სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. თითოეული მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მათ შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც. ამასთან, ხელშეკრულებით/სისტემის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ოფიციალური ურთიერთობა განხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხოლო პროგრამის გამოყენებით კომუნიკაცია განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული წესითა და ფორმით.
2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად: ა) კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს; ბ) ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში გაგზავნის თარიღიდან მეორე საბანკო დღეს.

3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გაგზავნა მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არ არსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.
4. სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილე ურთიერთობას განხორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). თითოეული მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.
5. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ–ერთი საშუალებით ან განსხვავებული ფორმით.

მუხლი 21. სისტემის განახლება

1. სისტემებთან დაკავშირებული სერვერები განთავსებული იქნება შესაბამის გარემოში და/ან სისტემაში/სერვერებში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს PCI DSS სტანდარტებს.
2. დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემის ფუნქციონირების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა/შეფერხება, სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომუნიკაციო საშუალებით 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე სისტემის მონაწილის ინფორმირებას, ხოლო დაუგეგმავი ტექნიკური სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება განხორციელდება შესაბამისი სამუშაოების განხორციელების პარალელურად.
3. სისტემის მონაწილე ვალდებულია გასწიოს ყველა ის ხარჯი, რომელიც გამოწვეული იქნება სისტემის განახლების ან/და ამ სისტემის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, სისტემის მონაწილის შიდა სისტემის სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 22. სისტემის მონაწილის პრეტენზია

1. სისტემის მონაწილე უფლებამოსილია გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებული პრეტენზია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომუნიკაციო საშუალებით დააფიქსიროს სისტემის ოპერატორთან, რომელთან დაკავშირებითაც შესაბამის გადაწყვეტილებას/ინფორმაციას სისტემის ოპერატორი სისტემის მონაწილეს აცნობებს იმავე საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით. ამასთან, გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვა განხორციელდება პრეტენზიის წარდგენიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრეტენზიის განხილვისთვის საჭიროა უფრო მეტი ვადა, სისტემის ოპერატორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, აღნიშნულის შესახებ აცნობებს სისტემის მონაწილეს, შესაბამისი გადახდის ოპერაციისთვის დასაბრუნებელი თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნება განხორციელდება გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვის დასრულებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
2. სისტემის წესებიდან ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები სისტემის ოპერატორმა ან/და სისტემის მონაწილემ შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია, პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
3. სისტემის წესებიდან ან/და ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 23. სხვა პირობები

1. სისტემის მონაწილე არ არის უფლებამოსილი სისტემის ოპერატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს მესამე პირს. სისტემის ოპერატორის უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა.
2. სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია სისტემის მონაწილის ყოველგვარი ნებართვის ან/და შეტყობინების გარეშე სისტემის წესებიდან ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს მესამე პირს, რაც მათ შორის ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს სისტემის წესებიდან/ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას ქვეკონტრაქტორის საშუალებით. შესაბამისად სისტემის წესებით განსაზღვრული ტერმინი სისტემის ოპერატორი მოიაზრებს სისტემის ოპერატორის ქვეკონტრაქტორ მესამე პირს კონტექსტის შესაბამისად.
3. სისტემის წესებიდან და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად.
4. სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია სისტემის წესებიდან ან/და ხელშეკრულების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს სისტემის მონაწილის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად სისტემის ოპერატორის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და სისტემის მონაწილის მიერ სისტემის წესების ან/და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.
5. სისტემის წესები ან/და ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა სისტემის ოპერატორისა და სისტემის მონაწილის უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ სისტემის წესები ან/და სისტემის წესების/ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

6. სისტემის წესები განთავსებული იქნება სისტემის ოპერატორის ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge. სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს, გაუქმოს, გააფართოვოს სისტემის წესები, რომელიც აისახება სისტემის წესების განახლებულ ვერსიაში. იმ შემთხვევაში თუ სისტემის წესების განახლების შედეგად უარესდება სისტემის მონაწილის მდგომარეობა, განახლებული სისტემის წესების შესახებ სისტემის მონაწილეს გაეგზავნება შეტყობინება წინამდებარე წესებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომუნიკაციო არხით, სისტემის წესების განახლებამდე გონივრული ვადით ადრე.
7. სისტემის მონაწილისა და სისტემის ოპერატორის სხვა უფლება-მოვალეობები/პასუხისმგებლობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.
8. 2022 წლის 29 ივლისამდე სისტემაში ჩართულ სისტემის მონაწილეებზე სისტემის წესები გავრცელდება მათთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა. 2022 წლის 29 ივლისამდე სისტემაში ჩართულ სისტემის მონაწილე ვალდებულია დაეთანხმოს სისტემის წესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია შეუწყვიტოს სისტემით სარგებლობა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემაში
მონაწილეობის განაცხადი

პრეტენდენტის მონაცემები/რეკვიზიტები		
1	პრეტენდენტის სრული დასახელება	
2	პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა	
3	პრეტენდენტის საკორესპონდენციო მისამართი	
3	პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო კოდი	
4	პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელის სახელი/გვარი და პირადი ნომერი	
5	პრეტენდენტის საკონტაქტო პირის სახელი გვარი	
6	პრეტენდენტის საკონტაქტო პირის მობილური ტელეფონი: ელ-ფოსტა:	

მუნიციპალიტეტის დასახელება	
მუნიციპალიტეტის დასახელება, რომლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდებთან (ტრანზაქციები) მიმართებაში უნდა განხორციელდეს სისტემაში ჩართვა	
კალენდარული თვის განმავლობაში სისტემის საშუალებით მოსალოდნელი ტრანზაქციების რაოდენობა	
მინიმალური ნაშთის მოცულობა, რომელიც უნდა განთავსდეს ანგარისწორების ანგარიშზე სისტემით სარგებლობის დასაწყებად.	
საერთაშორისო საგადახდო სისტემის დასახელება, რომელშიც ჩართულია პრეტენდენტის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტები რომელთა საშუალებითაც უნდა განხორციელდეს სისტემის საშუალებით გადახდები	

პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი პირის
ხელმოწერა

თარიღი:

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემაში ჩართვის პროცედურა

1. პრეტენდენტის მიერ განაცხადის წარდგენა, მისი განხილვა და პრეტენდენტის სისტემაში ჩართვა:
 - 1.1 საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემაში ჩართვის მსურველი პრეტენდენტი ეცნობა სისტემის ტექნიკურ მოთხოვნებს და ფუნქციონალს, რომელიც განსაზღვრულია სისტემის წესების დანართი №5-ით და სისტემის წესებს, რომლითაც განსაზღვრულია სისტემით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა პირობა, მათ შორის, მომსახურება, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს სისტემის საშუალებით, ყველა ის მოთხოვნა და პირობა, რომელიც სავალდებულოა სისტემით სარგებლობისთვის, სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობა.
 - 1.2 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტისთვის მისაღებია სისტემის წესებით დადგენილი ყველა პირობა და იგი აკმაყოფილებს სისტემის მონაწილისთვის დადგენილ ყველა კრიტერიუმს, პრეტენდენტი მიმართავს სისტემის ოპერატორს სისტემაში ჩართვის შესახებ მოთხოვნით შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transportsystem@bog.ge.
 - 1.3 პრეტენდენტმა სისტემაში ჩართვის შესახებ მოთხოვნა ელექტრონულ ფოსტაზე უნდა გამოაგზავნოს პრეტენდენტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.
 - 1.4 ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი პრეტენდენტის მოთხოვნა სისტემაში ჩართვის შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას/დოკუმენტს:
 - პრეტენდენტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - პრეტენდენტის საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზიის ფორმა და ლიცენზიის ნომერი;
 - ამონაწერი მეწარმეთა და არამეწარმე იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
 - იმ მუნიციპალიტეტი(ებ)ს დასახელება, რომლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდების განხორციელებასთან დაკავშირებით სურს სისტემაში ჩართვა.

- პრეტენდენტის საკონტაქტო პირის ვინაობა - სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით.
- 1.5 სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი თანამშრომელი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში იმავე ელექტრონულ ფოსტაზე პრეტენდენტს უგზავნის ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულების ნიმუშს, რომლითაც სისტემის ოპერატორი და პრეტენდენტი აიღებენ ვალდებულებას, მესამე პირებს არ გაუმჟღავნონ სისტემის ოპერატორის მიერ პრეტენდენტისთვის პროტოკოლით გაზიარებული ინფორმაცია.
 - 1.6 იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულების ყველა პირობა მისაღებია პრეტენდენტისთვის, აღნიშნულის შესახებ პრეტენდენტი ელექტრონული ფოსტით ატყობინებს სისტემის ოპერატორს. სისტემის ოპერატორი აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა თუ უფრო მეტი ვადა არ არის მოთხოვნილი პრეტენდენტის მიერ) აორგანიზებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას პრეტენდენტისა და სისტემის ოპერატორის უფლებამოსილ წარმომადგენლების მიერ.
 - 1.7 ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა, სისტემის ოპერატორი პრეტენდენტს უგზავნის ტექნიკურ პროტოკოლს ელექტრონულ ფოსტაზე.
 - 1.8 პრეტენდენტი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს ტექნიკურ პროტოკოლს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი დარწმუნდება, რომ მისთვის შესაძლებელია უზრუნველყოს პრეტენდენტის სისტემის მოწყობა, განახლება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს პრეტენდენტის სისტემის დაკავშირება სისტემასთან, პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე მიმართავს სისტემის ოპერატორს განაცხადით (დანართი №1).
 - 1.9 პრეტენდენტი ვალდებულია, შეავსოს განაცხადი სრულად, უზრუნველყოს პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ განაცხადის ხელმოწერა და მისი გაგზავნა სისტემის ოპერატორთან, ხოლო განაცხადის სკანირებული ასლის გაგზავნა სისტემის ოპერატორის ელექტრონულ ფოსტაზე.
 - 1.10 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი განაცხადის წარდგენის მომენტისთვის აღარ აკმაყოფილებს სისტემის მონაწილისთვის წარდგენილ მოთხოვნებს/დადგენილ კრიტერიუმებს, სისტემის ოპერატორი

უფლებამოსილია უარი უთხრას პრეტენდენტს ხელშეკრულების გაფორმებაზე.

- 1.11 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი აკმაყოფილებს სისტემის მონაწილისთვის წარდგენილ მოთხოვნებს სისტემის ოპერატორი განაცხადის ელექტრონული ასლის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა თუ უფრო მეტი ვადა არ არის მოთხოვნილი პრეტენდენტის მიერ) აორგანიზებს პრეტენდენტისა და სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერას.
2. სისტემის მონაწილის მიერ სისტემაში ჩართვის შემდეგ განსახორციელებელი ტექნიკური სამუშაოები
 - 2.1. სისტემის ოპერატორსა და პრეტენდენტს (შემდგომში - სისტემის მონაწილე) შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის დაცული, VPN არხის აწყობას ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
 - 2.2. VPN არხის აწყობის შედეგად სისტემის მონაწილეს აქვს დაშიფრული კავშირი პროგრამასთან, სისტემის მონაწილე ვალდებულია დაიცვას პროგრამის უსაფრთხოება, არ დაუშვას მესამე პირები პროგრამასთან.
 - 2.3. სისტემის ოპერატორი აწვდის სისტემის მონაწილეს სისტემის სატესტო სერტიფიკატებს, AgenID, ListID და Salt-ს.
 - 2.4. სისტემის მონაწილე ვალდებულია უზრუნველყოს მის სისტემაში სატესტო სერტიფიკატების, AgenID, ListID და Salt-ის გენერირება.
 - 2.5. სისტემის მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს სისტემის ოპერატორს მის მიერ ემიტირებული სატესტო უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტის (პლასტიკური ბარათების) PAN-ები და საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ასახვა განხორციელდება ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
 - 2.6. სისტემის მონაწილის მიერ სისტემის ოპერატორისთვის მის მიერ ემიტირებული სატესტო საბარათე ინსტრუმენტების PAN-ების მიწოდების შემდგომ ხორციელდება სისტემის საშუალებით სატესტო გადახდის ოპერაციების გენერირება.
 - 2.7. სატესტო გადახდის ოპერაციების გენერირების დროს ხორციელდება სატესტო საბარათე ინსტრუმენტების ჩამატება და ამოღება სტოპ სიაში, ასევე სატესტო გადახდის ოპერაციების განხორციელება.

- 2.8. იმ შემთხვევაში, თუ სატესტო გადახდის ოპერაციების დროს გამოვლინდა ხარვეზი, სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილე უზრუნველყოფენ ხარვეზის გამოსწორებას და სისტემის საშუალებით განმეორებით სატესტო გადახდის ოპერაციების გენერირებას, მანამ სანამ სატესტო გადახდის ოპერაციები წარმატებით არ განხორციელდება.
- 2.9. მას შემდეგ რაც სატესტო გადახდის ოპერაციები წარმატებით განხორციელდება, სისტემის მონაწილეს დაუყოვნებლივ ეხსნება წვდომა სისტემის რეალურ გარემოზე, რის შემდეგაც სისტემის მონაწილე ვალდებულია სისტემის ოპერატორს მიაწოდოს მის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია.
- 2.10. სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის მონაწილის მიერ მოწოდებული საბარათე ინსტრუმენტების BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციიდან რამდენიმე საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციის დამატებას სისტემაში. სისტემის მონაწილე და სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფენ სისტემაში დამატებული საბარათე ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციის განხორციელებას. იმ შემთხვევაში თუ გადახდის ოპერაცია წარმატებით დასრულდა, სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის მონაწილის მიერ მოწოდებულ საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციის სრულად დამატებას სისტემაში და სისტემის მონაწილე იწყებს სისტემით სარგებლობას.
- 2.11. სისტემის სარგებლობის დაწყებისთანავე სისტემის მონაწილე ვალდებულია განათავსოს ანგარიშსწორების ანგარიშზე სავალდებულო თანხა.
- 2.12. სისტემით სარგებლობის განმავლობაში, სისტემის მონაწილის მიერ სისტემაში დამატებით სხვა საბარათე ინსტრუმენტების მონაცემების დამატების სურვილის შემთხვევაში, სისტემის მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს სისტემის ოპერატორს მის მიერ ემიტირებული უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტის (პლასტიკური ბარათების) PAN-ები და საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ასახვა განხორციელდება ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

საბარათე ინსტრუმენტების სისტემაში დაბლოკვის შესახებ სისტემის ოპერატორთან მიმართვის პროცედურა.

1. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არ სურს სისტემაში ჩართვა და აღნიშნულ პირებს არ სურთ, რომ მათ მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაცია განხორციელდეს საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად, აღნიშნულმა პირებმა უნდა მიმართონ სისტემის ოპერატორს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transportssystem@bog.ge.
2. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტს არ სურს, რომ მათ მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაცია განხორციელდეს საერთაშორისო საგადახდო სისტემის ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად, აღნიშნულმა პირებმა უნდა მიმართონ სისტემის ოპერატორს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transportssystem@bog.ge
3. ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი მოთხოვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას/დოკუმენტს:
 - მოთხოვნის წარმდგენის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - მოთხოვნის წარმდგენის საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზიის ფორმა და ლიცენზიის ნომერი (საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირებული პირებისათვის);
 - მოთხოვნის წარმდგენის რეგისტრაციის ქვეყანა, რეგისტრაციის ფორმა, შესაბამისი ლიცენზიის ნომერი და ლიცენზიის ასლი (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისთვის)
 - ამონაწერი მეწარმეთა და არამეწარმე იურიდიულ პირთა რეესტრიდან (საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზირებული პირებისათვის);
 - მოთხოვნის წარმდგენის რეგისტრაციის და ლიცენზიის დამადასტურებელი დოკუმენტი (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისთვის).
 - იმ მუნიციპალიტეტი(ებ)ს დასახელება, რომლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდებთან დაკავშირებით სურს საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვა.

- მოთხოვნის წარმდგენის საკონტაქტო პირის ვინაობა - სახელის, გვარის და პირადი ნომრის/პასპორტის მითითებით.
 - მოთხოვნის წარმდგენის საკონტაქტო ინფორმაცია.
4. სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი თანამშრომელი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში უკავშირდება საკონტაქტო პირს და ელექტრონულ ფოსტაზე აწვდის იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც უნდა მიაწოდოს მოთხოვნის წარმდგენმა პირმა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბარათე ინსტრუმენტების დაბლოკვა სისტემაში.
 5. მოთხოვნის წარმდგენი ვალდებულია მიაწოდოს სისტემის ოპერატორს მოთხოვნილი ინფორმაცია წერილობითი ფორმით შედგენილი დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე: გაგარინის 29ა, თბილისი, საქართველო. დოკუმენტი უნდა იყოს შედგენილი მოთხოვნის წარმდგენი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ (ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის შემთხვევაში დამოწმებული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად).
 6. სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით დოკუმენტის მიღებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში საბარათე ინსტრუმენტების დაბლოკვას სისტემაში.

სხვა საგადახდო საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციების შესრულებასთან ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებით სისტემის ოპერატორთან მიმართვის პროცედურა.

1. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილეს სურს გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით განახორციელოს გადახდის ოპერაციები, სისტემის მონაწილემ უნდა მიმართოს სისტემის ოპერატორს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transportsystem@bog.ge.
2. იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით მიიღოს გადახდის ოპერაციის მომსახურება, სისტემის ოპერატორი შეაფასებს ტექნიკურად აქვს თუ არა შესაძლებლობა დაამუშავოს საგადახდო ინსტრუმენტით შესრულებული გადახდები და რა დამატებითი ხარჯები და სამუშაოები იქნება საჭირო საგადახდო ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციების შესრულებისთვის. სისტემის ოპერატორი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში სისტემის ოპერატორი სისტემის მონაწილეს აცნობებს საგადახდო ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობის/შეუძლებლობის შესახებ, მათ შორის, იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც უნდა გასწიოს სისტემის მონაწილემ შესაბამისი საგადახდო ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციების შესასრულებლად.
3. იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს გადახდის სხვა საშუალებით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით მიიღოს გადახდის ოპერაციის მომსახურება, სისტემის ოპერატორი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სისტემის მონაწილეს მიაწვდის ტექნიკურ მოთხოვნებს, თუ რა სამუშაოები უნდა გასწიოს სისტემის მონაწილემ საკუთარი სისტემაში, რათა სისტემის მონაწილემ შეძლოს სისტემის ოპერატორის მიერ გადახდის სხვა საშუალებით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი

სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის განხორციელებისას დაგენერირებული და სისტემის მონაწილისთვის მიწოდებული ე.წ. ტოკენით ინფორმაციის მიღება.

4. სისტემის მონაწილის მიერ სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრული საკუთარი სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც სავალდებულო იქნება გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის განხორციელებისათვის, გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაცია დამუშავდება სტანდარტულად სისტემის მიერ.
5. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე ვერ უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სისტემის მონაწილის სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელებას, რომელიც სავალდებულო იქნება გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციების განხორციელებლად, გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით გადახდის ოპერაცია დამუშავდება საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად, რა დროსაც გადამხდელს დაეკისრება დამატებითი საკომისიო.
6. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე ვერ უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სისტემის მონაწილის სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელებას, და თუ სისტემის მონაწილეს სურს, რომ გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის შესრულებისას გადამხდელს არ დაეკისროს დამატებითი საკომისიო, მაგრამ სურს რომ გადახდის ოპერაციების განხორციელება შესაძლებელი იყოს გადახდის სხვა საშუალებით, სისტემის მონაწილე უფლებამოსილია აანაზღაუროს გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის განხორციელებისას გადამხდელისთვის დაკისრებული საკომისიო, რაზედაც მიმართავს სისტემის ოპერატორს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transportssystem@bog.ge. სისტემის მონაწილეს მოთხოვნის საფუძველზე სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის ფორმდება ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება.
7. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილეს სურს შეზღუდოს გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის შესრულება სისტემის მონაწილე უფლებამოსილია მიმართოს სისტემის ოპერატორს სისტემის წესების

დანართი №3-ით დადგენილი წესით და მოითხოვოს გადახდის სხვა საშუალებებით გადახდის ოპერაციების შესრულების დაბლოკვა.

8. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სისტემის მონაწილის სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელებას სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის ფორმდება ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

სისტემაში ჩართვისას სისტემის ინტეგრაციის სერვისის აღწერა

დოკუმენტში აღწერილია ქ. თბილისის, ქ. რუსთავისა და ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტების სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრაციის სერვისი, რომლის საშუალებითაც სისტემის მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ საკუთარი საბარათე ინსტრუმენტების სიების მართვა და საკუთარი ტრანზაქციების სინქრონიზაცია თავიანთ სისტემაში. სერვისი ტექნიკურად წარმოადგენს SOAP Web Services-ს.

შეცდომების დამუშავება

შეცდომები ბრუნდება სტანდარტული SOAP Fault-ების სახით და შეცდომის შეტყობინებაში წერია შეცდომის მიზეზი.

უსაფრთხოება

სერვისთან კომუნიკაციის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია TLS v1.2 პროტოკოლით. სისტემის მონაწილეებმა უნდა გამოიყენონ სისტემის ოპერატორის მიერ დაგენერირებული და ხელმოწერილი სერტიფიკატი. ეს გარანტიას იძლევა, რომ ქსელის დონეზე კომუნიკაცია იქნება დაშიფრული და ასევე სისტემა დაცული იქნება მესამე პირის მიერ სხვისი სახელით შესაძლო მომართვებისგან.

ფუნქციები

- **addOrUpdateCardInList** ფუნქცი
 - ფუნქციის დანიშნულებაა ბარათის შავ სიაში დამატება, თუ არ მოხდა **StartTime** და/ან **EndTime**-ის გადმოცემა, ბარათი დარჩება შავ სიაში იქამდე სანამ არ მოხდება მისი ამ სიიდან ამოღება **removeCardFromList** ქმედებით.

Parameter	In/Out	Type	Description
ListId*	In	Long	სიის იდენტიფიკატორი, ამ სიის იდენტიფიკატორი წინასწარ იქნება შეთანხმებული სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების მხრიდან კონკრეტულ ბანკთან.
Card*	In	String	ბარათის შესახებ ინფორმაცია, იხილეთ საბანკო ბარათის ნომრის ფორმატი
StartTime	In	Datetime	სიაში შეტანის დრო, შესაძლოა საჭირო გახდეს ბარათის სიაში შეტანა კონკრეტული თარიღიდან. არ არის აუცილებელი, რომ ამ ოპერაციის გამოძახება მოხდეს მყისიერად, როდესაც ბანკი გადაწყვეტს, რომ სიაში უნდა კონკრეტული ბარათის შეტანა
EndTime	In	Datetime	სიაში შეტანა კონკრეტულ დრომდე. ამ დროის გასვლის შემდეგ, ჩაითვლება, რომ ბარათი აღარ არის სიაში.
AgentId*	In	Long	აგენტის იდენტიფიკატორი წინასწარ იქნება შეთანხმებული სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების მხრიდან კონკრეტულ ბანკთან.
CardListChangeId	Out	Long	სიის ცვლილების იდენტიფიკატორი

- **removeCardFromList** ფუნქცია
 - ფუნქციის დანიშნულებაა ბარათის შავი სიიდან ამოღება.

Parameter	In/Out	Type	Description
-----------	--------	------	-------------

ListId*	In	Long	სიის იდენტიფიკატორი, ამ სიის იდენტიფიკატორი წინასწარ იქნება შეთანხმებული სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების მხრიდან კონკრეტულ ბანკთან.
Card*	In	String	ბარათის შესახებ ინფორმაცია, იხილეთ საბანკო ბარათის ნომრის ფორმატი
AgentId*	In	Long	აგენტის იდენტიფიკატორი წინასწარ იქნება შეთანხმებული სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების მხრიდან კონკრეტულ ბანკთან.
CardListChangeId	Out	Long	სიის ცვლილების იდენტიფიკატორი, თუ ბარათი სიაში ისედაც არ არსებობს, ამ შემთხვევაში დაბრუნდება 0

- **getCardInListsData ფუნქცია**

- ფუნქციის გამოყენებით შესაძლებელია ინახოს ბარათის მიმდინარე მდგომარეობა, ანუ არის თუ არა ის რომელიმე სიაში. მდგომარეობის ნახვა შესაძლებელია როგორც მიმდინარე მომენტისთვის, ასევე კონკრეტული ტრანზაქციის შესრულების მომენტში რა მდგომარეობა იყო.

Parameter	In/Out	Type	Description
Card*	In	String	ბარათის შესახებ ინფორმაცია, იხილეთ საბანკო ბარათის ნომრის ფორმატი
CardListChangeId	In	Long	სიის ცვლილების იდენტიფიკატორი, ეს იდენტიფიკატორი ბრუნდება ტრანზაქციების პარამეტრებში ერთ-ერთ პარამეტრად. შესაძლებელია ტრანზაქციის პარამეტრში დაბრუნებული მნიშვნელობის მიხედვით ინახოს, იმ მომენტის მდგომარეობით ბარათი სიაში იყო თუ არა. თუ ეს პარამეტრი არ გადმოცემა დაბრუნდება მიმდინარე მდგომარეობა
AgentId*	In	Long	აგენტის იდენტიფიკატორი წინასწარ იქნება შეთანხმებული სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების მხრიდან კონკრეტულ ბანკთან.
List<CardList>	Out	List<CardList>	ოპერაცია აბრუნებს სიების სიას მოთხოვნილი პარამეტრების მიხედვით. თუ CardList ობიექტი დაბრუნდა, ესეიგი ბარათი შესაბამის სიაშია. ყურადღება მისაქცევია StartTime და EndTime პარამეტრებისთვის, შესაძლოა დაბრუნდეს მიმდინარე მდგომარეობა, მაგრამ იქიდან გამომდინარე რომ EndTime წარსულშია, იმას ნიშნავდეს რომ ლოგიკურად ბარათი აღარ არის სიაში.

- **getTransactions ფუნქცია**

- ფუნქციის საშუალებით შესაძლებელია ტრანზაქციების სინქრონიზაცია. სინქრონიზაციისთვის გამოიყენება ტრანზაქციების მულტიპლ მზარდი უნიკალური იდენტიფიკატორი. სისტემის მონაწილის მიერ ბოლო დამუშავებული ტრანზაქციის იდენტიფიკატორის გადმოცემისას, სისტემა აბრუნებს ტრანზაქციების უფრო ახალ სიას. ფუნქციის გამოძახებისას ერთიანად დაბრუნება შეზღუდული რაოდენობის ტრანზაქცია. სისტემის მონაწილის სისტემაში მულტიპლ უნდა იმახოს ეს ფუნქცია რათა მოხდეს ტრანზაქციების უწყვეტი ნაკადის სინქრონიზაცია. თუ არცერთი ახალი ტრანზაქცია არ არის დამატებული ბოლო გამოძახების შემდეგ, უბრალოდ არაფერი არ დაბრუნდება.

Parameter	In/Out	Type	Description
TransactionType*	In	String	ტრანზაქციის ტიპის კოდი, ეს კოდი წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების მიერ ბანკთან.
LastProcessedTransactionId	In	Long	პარამეტრში უნდა გადმოცეს ბანკის მიერ ბოლოს წადებული ტრანზაქციებიდან მაქსიმალური TransactionId, სისტემა ამის შემდეგ დააბრუნებს ამ იდენტიფიკატორის შემდეგ ზრდადობით დასორტირებულ ტრანზაქციების მორიგ სიას. პირველ ჯერზე შესაძლებელია ამ პარამეტრის არ შევსება, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ბანკი პირველად მომართავს სისტემას და ყველაზე ძველი ტრანზაქციების სია დაუბრუნდება.
AgentId*	In	Long	აგენტის იდენტიფიკატორი წინასწარ იქნება შეთანხმებული სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების მხრიდან კონკრეტულ ბანკთან.

List<Transaction>	Out	List<Transaction>	ტრანზაქციების სია
-------------------	-----	-------------------	-------------------

ტიპები

Cardlist ტიპი

Property	Type	Description
ListId	Long	სიის იდენტიფიკატორი. დასაინტეგრირებელი ბანკებისთვის მათთვის სპეციალურად შექმნილი ერთი ან რამდენიმე სიის იდენტიფიკატორი მიეწოდება ბანკებს სისტემის ადმინისტრაციის მიერ.
StartTime	Date	სიაში ბარათის გააქტიურების დრო. ყენდება ბარათის სიაში რეგისტრაციის დროს. შეიძლება იყოს null.
EndTime	Date	სიაში ბარათის დეაქტივირების, ამოღების დრო. ყენდება ბარათის სიაში რეგისტრაციის დროს. შეიძლება იყოს null.

Transaction ტიპი

Property	Type	Description
TransactionId	Long	ტრანზაქციის უნიკალური იდენტიფიკატორი
TransactionTime	Date	ტრანზაქციის ჩატარების დრო
TransactionRegistrationTime	Date	სატრანსპორტო კომპანიის სერვერზე ტრანზაქციის რეგისტრაციის დრო
PointOfSaleId	Long	ტრანზაქციის ჩატარების, გაყიდვის წერტილის იდენტიფიკატორი
List<TransactionParameter>	List	ტრანზაქციის დამატებითი პარამეტრები ჩამონათვალი

TransactionParameter ტიპი

Property	Type	Description
Code	String	პარამეტრის კოდი
StringValue	String	სტრიქონული ტიპის პარამეტრის მნიშვნელობა
LongValue	Long	მთელი რიცხვის ტიპის პარამეტრის მნიშვნელობა
DecimalValue	Decimal	წილადი რიცხვის ტიპის პარამეტრის მნიშვნელობა
DateValue	Datetime	დროითი ტიპის პარამეტრის მნიშვნელობა
BooleanValue	Boolean	ლოგიკური ტიპის პარამეტრის მნიშვნელობა

დამატებითი ინფორმაცია

საბარათო ინსტრუმენტის ნომრის ფორმატი

სისტემის მონაწილესა და სისტემას შორის საბარათო ინსტრუმენტის ნომერი (PAN) მიმოიცივლება დაფარული (ჰეშირებული) სახით. სერვისში გადასაცემი/მისაღები საბარათო ინსტრუმენტის ფორმატი განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე:

ბარათის PAN: 1234567890000000 ბარათის PAN-ის საფუძველზე მიღებული ბარათის ნომერი:
21|123456|00|4B05F3F189AD5AAD44171457F7A94B7A სადაც:
21 - საბანკო ბარათების აღმნიშვნელი კონსტანტა.
123456 - ბარათის PAN-ის პირველი 6 ციფრი.
00 - ბარათის PAN-ის ბოლო 2 ციფრი.
4B05F3F189AD5AAD44171457F7A94B7A – ბარათის მთლიანი ნომრიდან ეს Hash უნდა მივიღოთ სპეციალური
ფსევდოკოდის შესრულებით:

*salt -> პარამეტრი წინასწარ იქნება შეთანხმებული ყველა ბანკთან სატრანსპორტო სისტემის ადმინისტრატორების
მხრიდან.

ტრანზაქციის დამატებითი პარამეტრები

- **chargeAmount (longValue)** – ტრანსპორტის მგზავრობის ფასი თეთრებში.
- **card (stringValue)** – საბანკო ბარათის ნომერი, ზემოთ განხილული ფორმატით.
- **transportId (longValue)** – ტრანსპორტის იდენტიფიკატორი. მეტროს/საბაგიროს შემთხვევაში სადგურის ID, ხოლო ავტობუსის შემთხვევაში ავტობუსის ID.
- **transport.Type (longValue)** – ტრანსპორტის ტიპი (1 = თბილისის მეტრო, 2 = თბილისის ავტობუსი, 4 = თბილისის მიკროავტობუსი, 6 = რუსთავის ავტობუსი, 7 = ზუგდიდის ავტობუსი, 10 = თბილისის გონდოლა, 11 = მაღლივი-ბაგების საბაგირო).
- **cardsListChangeId (longValue)** – ტრანზაქციის ჩატარებისას, გადახდის მოწყობილობაში არსებული სიის ვერსიის (ცვლილების) იდენტიფიკატორი.

სატესტო სერვერი

პრეტენდენტებთან გასაგზავნად ძირითად დოკუმენტში (პროტოკოლში) მოცემულია სერვისის მისამართი, სერვერის სერტიფიკატი, სისტემის მონაწილის (აგენტის) ღია-დახურული გასაღები, სისტემის მონაწილის (აგენტის) ღია-დახურული გასაღების პაროლი და სერვისის გამოსამახებლად საჭირო შემდეგი სატესტო პარამეტრები:

- **AgentID**
- **ListID**
- **TransactionType**
- **Salt**

სისტემის წესებში შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები

1. ცვლილებები და დამატებები 09.01.2023

#	განახლებული /დატამებული მუხლის/პუნქტის ნომერი	განახლებული მუხლის/პუნქტი	ცვლილება/დამატება
1	მუხლი 2.	ვადიანი სამგზავრო ბარათი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-81-ით დადგენილებით განსაზღვრული ვადიანი სამგზავრო ბარათი.	დაემატა ტერმინი
2	მუხლი 2.	მგზავრობის საფასური - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასური, მათ შორის ვადიანი სამგზავრო ბარათის საფასური.	დაემატა ტერმინი
3	მუხლი 3-ის პუნქტი 4.	<p>სისტემის ოპერატორი სისტემის საშუალებით უზრუნველყოფს შემდეგი მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას გადახდის ოპერაციების განხორციელებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი; • ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი; • ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი; • ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი; 	შეიცვალა პუნქტი
4	მუხლი 4-ის ქვეპუნქტი 1.1.	<ul style="list-style-type: none"> • გადახდის ოპერაციის განხორციელება ვადიანი სამგზავრო ბარათის შექმნის მიზნით და ვადიანი სამგზავრო ბარათის სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებულ საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირება და გადახდის ოპერაციის განხორციელება სტემის მონაწილის მიერ ემიტირებულ საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ მგზავრობა გადაყვანის საშუალებაში - (მიკროავტობუსი, საბაგირო გზა), M3 კატეგორია (ავტობუსი), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო); 	დაემატა ქვეპუნქტი
5	მუხლი 4-ის ქვეპუნქტი 1.4.	<p>ბათუმის მუნიციპალიტეტის ფარგლებში:</p> <p>სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ M3 კატეგორიის მგზავრობა გადაყვანის საშუალებაში - ავტობუსი;</p>	დაემატა ქვეპუნქტი
6	მუხლი 5-ის ქვეპუნქტი 4.	იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით განახორციელოს გადახდის ოპერაციები სისტემის მონაწილემ უნდა მიმართოს სისტემის ოპერატორს დანართი №4-ით დადგენილი წესით.	დაემატა პუნქტი
7	მუხლი 6-ის პუნქტი 6.	ქ. თბილისის, ქ. ზუგდიდისა, ქ. ბათუმის და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილი მგზავრობის საფასურის შეღავათები ვრცელდება სს „საქართველოს ბანკის“ მიერ ემიტირებულ საბარათე ინსტრუმენტებზე შესაბამის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული სატრანსპორტო ხელშეკრულების საფუძველზე.	შეიცვალა პუნქტი

8	მუხლი 8	<p>მუხლი 8. გადახდის ოპერაციის შესრულება საბარათინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საბარათე ინსტრუმენტის დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციების შესრულება და შესაბამისი მომსახურების მიღება დასაშვებია, იმ შემთხვევაში თუ: <ol style="list-style-type: none"> 1.1. სისტემის მონაწილე სარგებლობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციების განხორციელების მომსახურებით. 1.2. სისტემის მონაწილე გადამხდელს ემსახურება დისტანციური არხის საშუალებით. 2. საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება თუ: <ol style="list-style-type: none"> 2.1. საბარათე ინსტრუმენტი აკმაყოფილებს საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებით სისტემის წესებით დადგენილ მოთხოვნებს და სისტემის მონაწილე მიაწვდის სისტემის ოპერატორს სისტემის წესებით დადგენილ ინფორმაციას საბარათე ინსტრუმენტის შესახებ. 2.2. საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის სხვა საშუალებებით გადახდის ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, სისტემის მონაწილე უნდა სარგებლობდეს გადახდის სხვა საშუალებებით გადახდის ოპერაციის მომსახურებით. 2.3. ვადიანი სამგზავრო ბარათის საბარათე ინსტრუმენტზე ან/და გადახდის სხვა საშუალებაზე დაკავშირებითვის სისტემის მონაწილემ სისტემის ოპერატორს უნდა მიაწოდოს შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის ან/და გადახდის სხვა საშუალების დასკრიპტული პანი/ტოკენი, სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის შეთანხმებული ალგორითმით. 3. ვადიანი სამგზავრო ბარათის საბარათე ინსტრუმენტზე ან/და გადახდის სხვა საშუალებაზე დაკავშირებითვის სისტემის მონაწილემ სისტემის ოპერატორს უნდა მიაწოდოს შესაბამისი საბარათე ინსტრუმენტის ან/და გადახდის სხვა საშუალების დასკრიპტული პანი/ტოკენი, სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის შეთანხმებული ალგორითმით. 4. საბარათე ინსტრუმენტთან ვადიანი სამგზავრო ბარათის დაკავშირებისას, გადამხდელს შესაძლებლობა ექნება ვადიანი სამგზავრო ბარათით ისარგებლოს ან მხოლოდ საბარათე ინსტრუმენტით ან მხოლოდ გადახდის სხვა საშუალებით. 5. საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით სარგებლობისას, თუ საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადა ნაკლებია ვადიანი სამგზავრო ბარათის მოქმედების ვადაზე, საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის გასვლისთანავე გადამხდელი ვეღარ ისარგებლებს ვადიანი სამგზავრო ბარათით თუ ვადიანი სამგზავრო ბარათი არ დაუკავშირდა მოქმედების ვადის მქონე საბარათე ინსტრუმენტს, რომელიც აკმაყოფილებს სისტემის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სისტემის მონაწილე ვალდებულია წინასწარ გაუგზავნოს შეტყობინება გადამხდელს ვადიანი სამგზავრო ბარათის/საბარათე ინსტრუმენტის მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ. 6. გადახდის ოპერაციის შესრულება ვადიანი სამგზავრო ბარათის შექმნის მიზნით და ვადიანი სამგზავრო ბარათის დაკავშირება საბარათე ინსტრუმენტთან შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მონაწილის დისტანციური არხის მეშვეობით. ამასთან, მოქმედების ვადის მქონე ვადიანი სამგზავრო ბარათის კავშირი შესაძლებელია შეიცვალოს ერთ საბარათე ინსტრუმენტიდან სხვა საბარათე ინსტრუმენტზე, რომელიც აკმაყოფილებს სისტემის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. 7. სისტემის მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს სრული ინფორმაცია გადამხდელს ვადიანი სამგზავრო ბარათის პირობებსა და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირების წესების შესახებ, რომელიც სრულად შესაბამისი უნდა იყოს სისტემის წესებით დადგენილ პირობებთან. 8. სისტემის მონაწილე ვალდებულია გადამხდელს არ დააკსიროს ნებისმიერი დამატებითი ტიპის საკომისიო/საფასური/მოთხოვნა/შეზღუდვა ვადიანი სამგზავრო ბარათის შექმნის მიზნით გადახდის ოპერაციის განხორციელებისას ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციების განხორციელებისას, გარდა მგზავრობის საფასურის მოცულობისა. 	დადმატა მუხლი
---	---------	--	---------------

9	მუხლი 16 პუნქტი 3.1.	3.1. სისტემით სარგებლობის საფასური თბილისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით განისაზღვრება თითოეულ გადახდის ოპერაციასთან მიმართებაში და მისი ოდენობაა:			შეიცვალა პუნქტი
		#	სისტემით სარგებლობის საფასური	სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობა (ლარი)	
		1	სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციისთვის	10 000	
		2	M2 კატეგორიის მგზავრთა გადაყვანის საშუალებით განხორციელებული ერთი (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის	0.02	
		3	M3 კატეგორიის (ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი - მეტრო და საბაგირო გზა) მგზავრთა გადაყვანის საშუალებით განხორციელებული ერთი (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის, თუ საანგარიშო პერიოდის წინა კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობა ნაკლებია 1,200,000.	0.02	
4	M3 კატეგორიის (ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი - მეტრო და საბაგირო გზა) მგზავრთა გადაყვანის საშუალებით განხორციელებული ერთი (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის, თუ საანგარიშო პერიოდის წინა კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების რაოდენობა მეტია ან ტოლია 1,200,000.	0.015			
10	მუხლი 16 პუნქტი 3.4.	3.4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში სისტემით სარგებლობისას, მოქმედებს როგორც სისტემის სარგებლობის ყოველთვიური, ასევე თითოეულ გადახდის ოპერაციასთან მიმართებაში დაწესებული სისტემით სარგებლობის საფასური:			დაემატა პუნქტი
		#	სისტემით სარგებლობის საფასური	სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობა (ლარი)	
		1	სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური	200 000	
2	სისტემით მომსახურების საფასური (თითოეული) გადახდის ოპერაციისთვის	0.05			
11	მუხლი 16 პუნქტი 5.	სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემით სარგებლობის ყოველთვიური საფასურის ჩამოჭრას ანგარიშსწორების ანგარიშიდან სისტემით მომსახურების შესაბამისი თვის დასაწყისში, არასრული თვის შემთხვევაში სისტემით სარგებლობის ყოველთვიური საფასური გამოიანგარიშება შესაბამისი თვის განმავლობაში ნასარგებლები დღეების მიხედვით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილე სარგებლობს სისტემის საშუალებით საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით, სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციისთვის მოქმედებს და სისტემის მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს მანამ სანამ საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველა ვადიანი სამგზავრო ბარათის მოქმედების ვადა არ ამოიწურება, მიუხედავად იმისა შეწყვიტა თუ არა სისტემის მონაწილემ სისტემით სარგებლობა, მათ შორის სისტემით სარგებლობა საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათებით.			შეიცვალა პუნქტი

12	მუხლი 17 პუნქტი 7.	საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციების განხორციელებისას სისტემის მონაწილე სრულად პასუხისმგებელია გადახდელის წინაშე სისტემის მონაწილის დისტანციური არხის ხარვეზთან ან/და სისტემის მონაწილის მიერ გადამხდელისთვის მისაწოდებელ ინფორმაციასთან ან/და გადამხდელის ნებისმიერ და ყველა პრეტენზიაზე.	დაემატა პუნქტი
13	მუხლი 18 ქვეპუნქტი 2.3.4	2.3.4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში სატრანსპორტო ხელშეკრულების ვადის გასვლა რომელიც განისაზღვრება 2026 წლის 10 ივლისი (თუ ეს ვადა არ გახანგრძლივდა მხარეთა შეთანხმებით);	დაემატა ქვეპუნქტი
14	დანართი 4, პუნქტი 1	იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილეს სურს გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით განხორციელოს გადახდის ოპერაციები, სისტემის მონაწილემ უნდა მიმართოს სისტემის ოპერატორს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transportssystem@bog.ge .	შეიცვალა პუნქტი
15	დანართი 4, პუნქტი 3	იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს გადახდის სხვა საშუალებით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით მიიღოს გადახდის ოპერაციის მომსახურება, სისტემის ოპერატორი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სისტემის მონაწილეს მიაწვდის ტექნიკურ მოთხოვნებს, თუ რა საშუალები უნდა გასწიოს სისტემის მონაწილემ საკუთარი სისტემაში, რათა სისტემის მონაწილემ შეძლოს სისტემის ოპერატორის მიერ გადახდის სხვა საშუალებით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის განხორციელებისას დაგენერირებული და სისტემის მონაწილისთვის მიწოდებული ე.წ. ტოკენით ინფორმაციის მიღება.	შეიცვალა პუნქტი
16	დანართი 4, პუნქტი 4	სისტემის მონაწილის მიერ სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრული საკუთარი სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც სავალდებულო იქნება გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის განხორციელებისათვის, გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაცია დამუშავდება სტანდარტულად სისტემის მიერ.	შეიცვალა პუნქტი
17	დანართი 4, პუნქტი 8	იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სისტემის მონაწილის სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელებას სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის ფორმდება ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება გადახდის სხვა საშუალებით ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საგადახდო ინსტრუმენტით ან/და საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვადიანი სამგზავრო ბარათით გადახდის ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.	დაემატა პუნქტი